დამტკიცებულია აკადემიური საბჭოს 2012 წლის 26 დეკემბრის №69 სხდომის გადაწყვეტილებით.
ამავე სხდომის გადაწყვეტილებით ძალადაკარგულად იქნა ცნობილი 2009 წლის 14 სექტემბერს
აკადემიური საბჭოს მიერ დამტკიცებული ,,ილია ჭავჭავაძის სახელმწიფო უნივერსიტეტის
სტუდენტთა ეთიკის კოდექსი"

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთა ეთიკის კოდექსი

მუხლი 1. პრეამბულა

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი წარმოადგენს სტუდენტთა და პროფესორთა კავშირს - მრავალფუნქციურ საგანმანათლებლო და სამეცნიერო დაწესებულებას, რომელშიც სტუდენტების, პროფესორების, მასწავლებლებისა და მკვლევარების თანამშრომლობით იქმნება აკადემიური და პროფესიული განათლებისა და კვლევისერთიანი სივრცე.

ერთიანი სივრცე ემყარება სამ პრინციპს:

ა) აკადემიური თავისუფლებას;

ბ) სინდისის თავისუფლებას;

გ) არჩევანის თავისუფლებას;

დ) უნივერსიტეტი თავისი არსით მნიშვნელოვან როლს ასრულებს დემოკრატიული და ღია საზოგადოების ჩამოყალიბებაში. რისთვისაც საჭიროა ეთიკური ნორმების დაცვა.

მუხლი 2. სამართლებრივი საფუძვლები

2.1. ამ კოდექსის სამართლებრივი საფუძველია საქართველოს კონსტიტუცია, საქართველოს კანონი უმაღლესი განათლების შესახებ, ა(ა)იპ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდება.

მუხლი 3. ეთიკის კოდექსის მოქმედების სფერო

3.1. ეს კოდექსი ვრცელდება ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტებზე და აწესრიგებს მათი ქცევის წესებს უნივერსიტეტში სწავლის მთელი პერიოდისათვის.

3.2. ამ კოდექსის მიზნებისათვის სტუდენტად მიიჩნევა:

ა) პირი, რომელიც სწავლობს უნივერსიტეტში ბაკალავრიატის, პროფესიული განათლების, მაგისტრატურის, ან/და დოქტორანტურის პროგრამის გასავლელად;

ბ) მსმენელისა და თავისუფალი მსმენელის სტატუსის მქონე პირი;

გ) პირი, რომელიც სწავლობს უნივერსიტეტის რომელიმე ცენტრში (ამ მუხლის "ა" და "ბ" პუნქტებით გათვალისწინებული პირების გარდა), სადაც სწავლის დასრულების შემდეგ გათვალისწინებულია შესაბამისი სერთიფიკატის გაცემა;

დ) პირი, რომელიც უნივერსიტეტის რომელიმე ცენტრში გადის ტრენინგს.

მუხლი 4. ეთიკის კოდექსის ძირითადი პრინციპები

4.1. უნივერსიტეტის ყველა სტუდენტი თანაბრად სარგებლობს საქართველოს კანონმდებლობითა და უნივერსიტეტის წესდებით მისთვის მინიჭებული უფლებებით.

4.2. სტუდენტი იზიარებს უნივერსიტეტის ეთიკის კოდექსით გათვალისწინებულ

ღირებულებებს და იცავს ამ კოდექსით დადგენილ წესრიგს.

4.3. სტუდენტი აღიარებს უნივერსიტეტის უფლებას, ეთიკის კოდექსის დარღვევის შემთხვევაში, განიხილოს მისი დისციპლინური პასუხისმგებლობის საკითხი და ამასთან, იღებს ვალდებულებას, შეასრულოს ამ საკითხთან დაკავშირებით მიღებული გადაწყვეტილება.

მუხლი 5. სტუდენტთა ეთიკის წესები

ეთიკის კოდექსი ადგენს ქცევის საერთო და აკადემიურ პროცესთან დაკავშირებულ წესებს.

მუხლი 6. სტუდენტთა ეთიკის საერთო წესები

6.1. სტუდენტისთვის შეუფერებელ და არაეთიკურ ქცევად ჩაითვლება:

6.1.1. ა) სასწავლო პროცესის მიმდინარეობისათვის ხელის შეშლა (ლექციაზე ხმაური,

მობილური ტელეფონით სარგებლობა, დერეფანში აურზაური და სხვა);

ბ) მოწევა საამისოდ ნებადართული ტერიტორიის ფარგლებს გარეთ;

გ) ალკოჰოლური სასმელების შემოტანა, გავრცელება და/ან გამოყენება;

დ) აზარტული თამაშები;

ე) ინვენტარით სარგებლობის წესის დარღვევა (მერხებზე წარწერების გაკეთება,

კომპიუტერების, ლაბორატორიული მოწყობილობების, სასწავლო ავეჯისა და ინვენტარის დაზიანება);

ვ) უნივერსიტეტის ტერიტორიის დანაგვიანება, შენობის იერსახის დამახინჯება, ნარგავების დაზიანება;

ზ) დისციპლინური ღონისძიებების გატარების საკითხის აღძვრისათვის უფლებამოსილი პირის მოთხოვნებისადმი დაუმორჩილებლობა.

თ) ბილწსიტყვაობა.

6.1.2. ა) ნარკოტიკული და/ან ფსიქოტროპული საშუალებების შემოტანა, გავრცელება და/ან გამოყენება;

ბ) ცეცხლსასროლი და ცივი იარაღის შემოტანა და/ან გავრცელება;

გ) ისეთი ფეთქებადი და აალებადი ნივთებისა და ნივთიერებების შემოტანა და/ან

გავრცელება, რომლებიც ხანძრის და/ან აფეთქების რეალურ საფრთხეს ქმნიან;

დ) ძალადობა, ფიზიკური და/ან სიტყვიერი შეურაცხყოფის მიყენება სხვა სტუდენტების, აკადემიური, ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის წარმომადგენლებისათვის.

6.2. უნივერსიტეტის სტუდენტი ვალდებულია, არ დაიგვიანოს ლექციებსა და სხვა სახის სასწავლო ღონისძიებებზე.

6.3. უნივერსიტეტის ყველა სტუდენტი ვალდებულია თან იქონიოს სტუდენტის ბილეთი ან პირადობის დამადასტურებელი მოწმობა.

მუხლი 7. აკადემიურ პროცესთან დაკავშირებული წესები

7.1. სტუდენტისთვის შეუფერებელ და არაეთიკურ ქცევად ჩაითვლება აკადემიური

სიყალბე:

7.1.1. ა) გადაწერა სხვა სტუდენტის ნამუშევრიდან, ან გამოყენება სხვა სახის დამხმარე მასალისა, რომელიც ლექტორის მიერ წინასწარ არ არის ნებადართული;

ბ) სხვა პირის ნამუშევრის, როგორც საკუთარის წარმოჩენა.

გ) ხელის შეშლა სხვა სტუდენტებისათვის სწავლასა და კვლევის პროცესში საჭირო

რესურსების დამალვით, მოპარვით ან განადგურებით;

დ) სხვა სტუდენტისათვის აკადემიური სიყალბის ჩადენაში ხელის შეწყობა;

ე) კვლევითი სამუშაოების ინფორმაციის გაყალბება;

ვ) ინდივიდუალური დავალების ჯგუფურად მომზადება ან ერთი პირის მიერ

მომზადებული დავალების ჯგუფურ ნამუშევრად წარმოჩენა;

ზ) პლაგიატი (სრულად ან ნაწილობრივ სხვისი ნამუშევრის გადაწერა ავტორისა და წყაროს მითითების გარეშე; ან საბაკალავრო/სადისერტაციო/სამაგისტრო თეზისის ყიდვა).

7.1.2. ა) სხვა სტუდენტის ნაცვლად გამოცდის ჩაბარება, ან სხვა პირის შეგზავნა გამოცდის ჩასაბარებლად;

ბ) გამოცდის შესახებ კონფიდენციალური ინფორმაციის მოპოვება და/ან გავრცელება;

გ)კონფიდენციალური ინფორმაციის გამოყენება;

დ) სხვა სტუდენტის ნამუშევრის მოპარვა, განადგურება, შეცვლა.

ე) საუნივერსიტეტო მონაცემების გაყალბება.

ვ) შეფასების მიღების მცდელობა გამომცდელზე ზეწოლით;

მუხლი 8. დისციპლინური ღონისძიებების გატარების საკითხის აღძვრისათვის

უფლებამოსილი პირი

8.1. ეთიკის საერთო და აკადემიურ პროცესთან დაკავშირებული წესების დარღვევის ფაქტებზე სტუდენტის მიმართ დისციპლინური ღონისძიებების გატარების საკითხის აღძვრა შეუძლია უნივერსიტეტის აკადემიურ და/ან პედაგოგიურ საქმიანობაში ჩართულ ნებისმიერ პირს, ასევე, ადმინისტრაციის ნებისმიერ თანამშრომელს.

მუხლი 9. დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომების შესაძლებელი სანქციები

9.1. ეთიკის საერთო და აკადემიურ პროცესთან დაკავშირებული წესების დაღვევისათვის:

ა) სტუდენტს შეიძლება მიეცეს ზეპირი გაფრთხილება;

ბ) სტუდენტმა შეიძლება მიიღოს წერილობითი გაფრთხილება პირად საქმეში შეტანით;

გ) სტუდენტს შეიძლება გარკვეული ვადით შეუჩერდეს უნივერსიტეტში ლექციებზე დასწრების უფლება;

დ) სტუდენტი შეიძლება გაირიცხოს უნივერსიტეტიდან.

9.2. პასუხისმგებლობის ზომები

9.2.1. ეთიკის კოდექსის მე-6 მუხლის 6.1.2 პუნქტის ქვეპუნქტებში მითითებული წესების დარღვევისათვის სტუდენტი გაირიცხება უნივერსიტეტიდან;

9.2.2. ეთიკის კოდექსის მე-6 მუხლის 6.1.2 პუნქტის "ა, ბ" ქვეპუნქტების დარღვევის შემთხვევაში, ასევე საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით სხვა დასჯადი ქმედების ჩადენისას, უნივერსიტეტი დაუყოვნებლივ მიმართავს პოლიციას;

9.2.3. ეთიკის კოდექსის მე-6 მუხლის 6.1.1 პუნქტის ქვეპუნქტების დარღვევის შემთხვევაში სტუდენტს მიეცემა წერილობითი გაფრთხილება პირად საქმეში შეტანით, 3- ჯერ განმეორების შემთხვევაში სტუდენტი ირიცხება უნივერსიტეტიდან;

9.2.4. ეთიკის კოდექსის მე-7 მუხლის 7.1.1. პუნქტის ქვეპუნქტების დარღვევის დამტკიცების შემთხვევაში სტუდენტს მიეცემა პირველ შემთხვევაში ზეპირი გაფრთხილება, მეორე შემთხვევაში კი წერილობითი გაფრთხილება პირად საქმეში შეტანით, განმეორებით 4 ან მეტი შემთხვევის გამო სტუდენტი შესაძლოა გაირიცხოს უნივერსიტეტიდან;

9.2.5. ეთიკის კოდექსის მე-7 მუხლის 7.1.2. პუნქტის ქვეპუნქტების დარღვევის შემთხვევაშისტუდენტი გაირიცხება უნივერსიტეტიდან.

მუხლი 10. დისციპლინური კომისია

10.1. იმის გადასაწყვეტად, თუ რა სანქცია შეიძლება შეეფარდოს ეთიკის კოდექსის მე-6 მუხლის და მე-7 მუხლის 7.1.2. პუნქტის ნებისმიერი ქვეპუნქტის დამრღვევ სტუდენტს, იქმნება დისციპლინური კომისია.

10.2. დისციპლინური კომისია იქმნება ადმინისტრაციის ხელმძღვანელის ბრძანების

საფუძველზე;

10.3. დისციპლინურ კომისიაში შედიან:

ა) უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელი;

ბ) ყველა ფაკულტეტის (სასწავლო-კვლევითი ერთეულის) ხელმძღვანელი;

გ) დაცვისა და უსაფრთხოების სამსახურის უფროსი:

დ) იურიდიული სამსახურის უფროსი.

10.4. ეთიკის კოდესის დარღვევების განხილვა მიმდინარეობს კომისიის სხდომებზე.

სხდომა ლეგიტიმურია, თუკი სხდომას ესწრება წევრების ნახევარი მაინც.

10.5. დისციპლინურ კომისიაზე სტუდენტს უნდა მიეცეს შესაძლებლობა წარმოადგინოს საკუთარი ახსნა-განმარტება.

10.6. გადაწყვეტილება მიიღება სხდომაზე დამსწრეთა უბრალო უმრავლესობით.

მუხლი 11. ფაკულტეტის საბჭო (სასწავლო-კვლევითი ერთეული)

11.1. ფაკულტეტის საბჭოს (სასწავლო-კვლევით ერთეული) გამოაქვს გადაწყვეტილება, იმის შესახებ, თუ რა სანქცია შეიძლება შეეფარდოს ეთიკის კოდექსის მე-7 მუხლის 7.1.1. პუნქტების დამრღვევ სტუდენტს.

მუხლი 12. დისციპლინური სანქციის მიღება

12.1 ამ კოდექსის მე-10 მუხლის შესაბამისად მიღებულ გადაწყვეტილებას, დისციპლინური კომისია შუამდგომლობით უგზავნის უნივერსიტეტის რექტორს გადაწყვეტილების აღსრულების მიზნით.

12.2 ამ კოდექსის მე-11 მუხლის შესაბამისად მიღებულ გადაწყვეტილებას, ფაკულტეტის საბჭო შუამდგომლობით უგზავნის უნივერსიტეტის რექტორს გადაწყვეტილების აღსრულების მიზნით.

12.3 გადაწყვეტილება დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრების შესახებ შედის სტუდენტის პირად საქმეში.